<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩისთვის და ორხევის I გასასვლელისთვის დრამატურგის გია ბადრიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩას და ორხევის I გასასვლელს მიენიჭოს დრამატურგის გია ბადრიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:484266 Y:4616140
X:484220 Y:4616128
გია ზადრიძის ქ.
X:484242 Y:4616067
N
1:700

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

განცხადება

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ წლების განმავლობაში ცნობილი ქართველი ხელოვანი გიორგი (გია) დავითის ძე ბადრიძე ერთგულად ემსახურებოდა ქართულ კულტურას.

გია ბადრიძე 1928 წლის 23 ივნისს დაიბადა ქალაქ თბილისში. 1946-1951 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, 1951-1953 წლებში - მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში.

მუშაობდა 1953 წლიდან მოსკოვის და თბილისის პრესაში - ერთდროულად საქართველოს ტელევიზიის პასუხისმგებელ რედაქტორად და გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს სპეციალურ კორესპონდენტად მოსკოვში; 1964 წელს - საქართველოს სახელმწიფო კინომატოგრაფისტთა კავშირის მდივნად; საქართველოს სახელმწიფო კინოკომიტეტის მთავარ რედაქტორად; 1971 წლიდან - კინოსტუდია „ქართული ფილმი"-ს სასცენარო კოლეგიის წევრად. მისი რედაქტორობით გამოვიდა ფილმები: „დათა თუთაშხია", „ჩიორა", „ძველი ვალსი", „ბაგრატიონი", „ვალსი პეჩორაზე" და სხვა.

გია ბადრიძის სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: „რატილი", „აშუღ-ყარიბი", "ისინი", „ჩარი-რამა", „ვინ არის მეოთხე", „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის", „დინოზავრის კვერცხი", „ხაბაზები", „არღანი", „21-ე საუკუნე და ..." და მრავალი სხვა.

როგორც მსახიობი, გია ბადრიძე გადაღებულია ფილმებში: „არ დაიდარდო", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „პეტროვკა 38", „ქართველები ცაში", „ბრავო, ალბერ ლოლიშ!", „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის", „არ დაიჯერო, რომ აღარ ვარ", „გასეირნება თბილისში" და სხვა.

სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა საქართველოს კულტურის მინისტრის მრჩევლად და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ანალიტიკური სამსახურის უფროსად.

ბატონი გია იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ავტორია წიგნის „წავიდა ჰე...".

გარდაიცვალა 1999 წლის 22 აგვისტოს და დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, რათა თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს გია (გიორგი) ბადრიძის სახელი.

პატივისცემით,

გია ჯაფარიძე

საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე, თბილისის საპატიო მოქალაქე, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი

თემო გოცაძე

საქართველოს სახალხო მხატვარი

მარინა ჯანაშია

საქართველოს დამსახურებული არტისტი

ჟანრი ლოლაშვილი

საქართველოს სახალხო არტისტი

თათული დოლიძე

საქართველოს დამსახურებული არტისტი

ვალერი ასათიანი

პროფესორი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/16665790**
თარიღი: **24/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი 2020 წლის 15 ივნისის საქმე #19/032016423-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის თბილისის საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენის კავალერის გია ბადრიძის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ჩუღურეთის რაიონში, ორხევის ქუჩისა და შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში გია ბადრიძის ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0123152315**
თარიღი: **01/06/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 29.05.2023 წლის #03-032314963 (29.05.2023 წ. #14-01231492090-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გია ბადრიძე

(1928-1999)

ჟურნალისტი, კინოდრამატურგი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე , დავით ბადრიძის შვილი.

1951 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი და მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა (1954). მუშაობდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მოსკოვის კორესპონდენტად (1954–1962), საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ რედაქტორად (1962–1964), საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ორგანიზაციის მდივნად (1964–1971), კონცერნ „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის წევრად (1971-იდან). ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1954-იდან. მისი მონაწილეობით შეიქმნა სცენარები ქართული მხატვრული ფილმებისათვის, მათ შორის: „ჩარიჩარამა“ (1974, რეჟისორი ნ. სანიშვილი), „კავკასიელი ტყვე“ (1975, რეჟისორი ტ. კალატოზიშვილი), „აიშიკ-ყარიბი“ (1988, რეჟისორი ს. ფარაჯანოვი), საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი ფილმი „XXI საუკუნე და..“ (1988, რეჟისორი ო. გვასალია), „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის“ (1982, რეჟისორი ბ. წულაძე), „ვინ არის მეოთხე“ (1984, რეჟისორი ო. კობერიძე), „ისინი“ (1992, რეჟისორი ლ. ზაქარეიშვილი), „და სასახლეში ეპოვებ სიყვარული“ (1992, რეჟისორი ქ. დოლიძე) და სხვ. მისი სცენარებით შექმნილია სატელევიზიო ფილმები: „მეარღნე“, „ხაბაზები“ და სხვა. როგორც მსახიობი გადაღებულია ფილმებში: „არ დაიდარდო“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „პეტროვკა 38“, „თბილისი და თბილისელები“ და სხვა.